# საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

ქ.თბილისი

2022 წელი

## შესავალი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება არის მუდმივი პროცესი, რომლის შედეგადაც დგინდება სტუდენტების მიერ სწავლის მიღწეული შედეგები და ღონისძიებები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება აუცილებელია აკრედიტაციის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება საშუალებას გვაძლევს აღვწეროთ, თუ რამდენად აღწევენ სტუდენტები სწავლის შედეგებს, რითია საგანმანათლებლო პროგრამა გამორჩეული და მონაცემებზე დაყრდნობით მივიღოთ გადაწყვეტილებები. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება შედგება ოთხი ეტაპისაგან:

- **საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება;**
- **კურიკულუმის ანალიზი, რომლის დროსაც დგინდება, უზრუნველყოფს თუ არა პროგრამა სტუდენტებს საკმარისი შესაძლებლობებით რომ მათ მიაღწიონ პროგრამის სწავლის შედეგებს;**
- **საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, რაც მოიცავს მონაცემენის მოგროვებას, გაანალიზებას და ინტერპრეტაციას სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების სასურველ დონეზე მიღწევის დადგენისათვის;**
- **შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად**




**საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება**

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანია სასწავლო უნივერსიტეტის  მისიის გათვალისწინება. სასწავლო უნივერსიტეტის მისია არის საფუძველი, რომელზეც უნდა დაშენდეს ის ყოველივე რაც სასწავლო უნივერსიტეტში კეთდება. საგანმანათლებლო  პროგრამის მიზნები პირდაპირ კავშირში უნდა იყოს სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან, ხოლო პროგრამის სწავლის შედეგები კი პროგრამის მიზნებთან. ამრიგად, როდესაც პროგრამის სწავლის შედეგები ბმაშია პროგრამის მიზნებთან და სასწავლო უნივერისიტეტისა  მისიასთან, სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა

იმის ერთ-ერთი მაჩვენებლიც არის, რომ პროგრამის მიზნები და სასწავლო უნივერსიტეტის მისიაც მიღწეულია.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი არის ფართო და ზოგადი განაცხადი სწავლების განზრახვის შესახებ. მიზნებში აღწერილი უნდა იყოს თუ რა შედეგზე უნდა გავიდეს პროგრამა. პროგრამის მიზნები გადმოსცემს თუ რა ცოდნა, უნარები და ღირებულებები უნდა მიიღონ სტუდენტებმა, რას გააკეთებენ პროგრამის კურსდამთავრებულები, რა წვლილს შეიტანენ დარგის განვითარებაში და ა.შ. პროგრმაის მიზნები არის უფრო ზოგადი ვიდრე პროგრამის სწავლის შედეგები. მაგ: პროგრამის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს X დარგში არსებული ძირითადი თეორიები და მიდოგმები. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს რა იცის, რა ესმის და რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ.

სწავლის შედეგები აღიწერება სამი კატეგორიის მიხედვით- ცოდნა და გაცნობიერება, უნარი და/ან პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. პროგრამის სწავლის შედეგები პასუხობს შემდეგ შეკითხვას - რა უნდა იცოდნენ და რისი გაკეთება უნდა შეეძლოთ პროგრამის კურსდამთავრებულებს? პროგრამის სწავლის შედეგები პირდაპირ უნდა გამომდინარეობდეს პროგრამის მიზნებიდან. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას უნდა დავფიქრდეთ, რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ სტუდენტებს პროგრამით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. იმისათვის რომ დავრწმუნდეთ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, მზადდება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა. აღნიშნული რუკა შეიძლება მომზადდეს ცხრილის სახით, რომელზეც ვერტიკალურად ჩამოწერილი იქნება პროგრამის მიზნები, ჰორიზონტალურად კი პროგრამის სწავლის შედეგები. ამის შემდეგ, ცხრილზე უნდა მოვნიშნოთ თუ რომელი სწავლის შედეგი უზრუნველყოფს რომელი მიზნის მიღწევას.

**პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა**

| **პროგრამის მიზანი/სწავლის შედეგები** | **პროგრამის სწავლის შედეგი 1** | **პროგრამის სწავლის შედეგი 2** | **პროგრამის სწავლის შედეგი 3** |
|---|---|---|---|
| **პროგრამის მიზანი #1** | ✓ | ✓ | ✓ |
| **პროგრამის მიზანი #2** | ✓ | ✓ | ✓ |
| **პროგრამის მიზანი #3** | ✓ | ✓ | ✓ |
| **პროგრამის მიზანი #4** | ✓ | ✓ | ✓ |
| **პროგრამის მიზანი #5** | ✓ | ✓ | ✓ |

პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი მოთხოვნები:

• პროგრამის სწავლის შედეგები პირდაპირ კავშირში უნდა იყოს პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (იხ. სწავლის სფეროების კლასიფიკატორი);

• პროგრამის სწავლის შედეგების სირთულე უნდა განსხვავდებოდეს პროგრამის საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო,) მიხედვით და უნდა პასუხობდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში მოცემულ კვალიფიკაციის დონის აღმწერებს (იხ. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო); აქვე აღსანიშნავია, რომ ჩარჩოში ზოგადი ფრაზებით აღწერილია, რა დონით უნდა ავითარებდეს სწავლის შედეგებს სამი კატეგორიის - ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, და/ან პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა მიხედვით (დონის აღმწერი) ამა თუ იმ საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო) პროგრამა და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ აღმწერების პირდაპირ გადმოტანა პროგრამის სწავლის შედეგებში. კვალიფიკაციების ჩარჩო გამოიყენება როგორც სათარგმნი საშუალება და ხდება ჩარჩოში მოცემული სწავლების საფეხურის აღმწერის მორგება კონკრეტული დარგისა და პროგრამასთვის;

• იმ შემთხვევაში თუ რეგულირებადი პროფესიის (მედიცინა, ვეტერინარია, სამართალი, მასწავლებლის განათლების, საზღვაოსნო მეცნიერებები) პროგრამის სწავლის შედეგებს ვაყალიბებთ, აუცილებლად უნდა ვიხელმძღვანელოთ აღნიშნული პროგრამებისთვის შექმნილი დარგობრივი მახასიათებლით (იხ. დარგობრივი მახასიათებლები);

ამასთან აღსანიშნავია, რომ არსებობს სხვადასხვა ქვეყნის მიერ შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლები თითქმის ყველა დარგისთვის, რაც შეიძლება საორიენტაციოდ გამოგვადგეს პროგრამის სწავლის შედეგებისა და შინაარსის განსაზღვრისას;

• პროგრამის სწავლის შედეგები უნდა ასახავდეს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს;

• პროგრამის სწავლის შედეგბში უნდა მივუთითოთ ის ცოდნა და უნარები, რომელსაც სტუდენტები იღებენ ძირითადი/სავალდებულო სასწავლო კურსებიდან, რადგან პროგრამის სწავლის შედეგები გულისხმობს იმას, რომ პროგრამის ყველა სტუდენტმა უნდა მიაღწიოს ამ სწავლის შედეგებს;

• სწავლის შედეგები უნდა იყოს დაკვირვებადი და შეფასებადი, რაც იმას ნიშნავს, რომ სწავლის შედეგი იმგვარად უნდა იყო გაწერილი, რომ რაიმე სახის შეფასებით/დავალებით უნდა შეგვეძლოს იმის დადგენა მიაღწიეს თუ არა სტუდენტებმა კონკრეტულ (ან გაწერილ) სწავლის შედეგს;

• სწავლის შედეგი არ უნდა იყოს წარმოდგენილი ერთი დიდი აბზაცის სახით და არ უნდა აერთიანდებდეს რამდენიმე სწავლის შედეგს; ის უნდა იყოს მოკლედ, ლაკონურად და მარტივ ენაზე ჩამოყალიბებული; შეეცადეთ, რომ ერთი სწავლის შედეგი ერთი წინადადებით იყოს დაწერილი და მასში ერთი ან მაქსიმუმ ორი ზმნა იყოს გამოყენებული;

• სწავლის შედეგები უნდა იყოს რეალისტური და მიღწევადი აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. შესაბამისად, როდესაც პროგრამის სწავლის შედეგებს ვაყალიბებთ, უნდა დავრწმუნდეთ, რომ პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევას;

• პროგრამის სწავლის შედეგები გადმოსცემს იმ ცოდნასა და უნარებს, რომელიც საბოლოოდ, პროგრამის დასასრულს უნდა ჰქონდეს სტუდენტს. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგებში არ არის საჭირო დეტალური აღწერა იმ ყველაფრისა, რასაც პროგრამა სტუდენტს

აძლევს, არამედ იმ ცენტრალურ საკითხებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება რაც ყველაზე მნიშვნელოვანია აღნიშნული დარგისთვის. ამასთან, სწავლის შედეგებში უნდა ავსახოთ ცოდნისა და უნარების ყველაზე რთული დონე, რაზეც სტუდენტი უნდა გავიდეს საბოლოოდ;

• პროგრამის სწავლის შედეგებში არ უნდა შედიოდეს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები; ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები არ არის პროგრამის სასწავლო კურსებისა ან სხვა კომპონენტების სწავლის შედეგების მექანიკური ჯამი. პროგრამის სწავლის შედეგები ბევრად უფრო მეტია, რადგან აქ უნდა ჩანდეს სტუდენტის მიერ პროგრამის სხვადასხვა კონპონენტისგან მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირების უნარი და საბოლოოდ, მისანიჭებელი კვალიფიკაციისათვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების დემონსტრირება. სწორედ ამიტომ არის საჭირო პროგრამის სწავლის შედეგების შეფესება. მხოლოდ სასწავლო კურსებისა და პროგრამის სხვა კომპონენტების შეფასებით ვერ დავადგენთ მიაღწიეს თუ არა სტუდენტებმა პროგრამის სწავლის შედეგებს;

• სასურველია პროგრამას ჰქონდეს არაუმეტეს 12 სწავლის შედეგი;

• სწავლის შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს აწმყო დროში;

• სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ მოქმედებითი გვარის ზმნები, რათა შემდეგ შევძლოთ ამ სწავლის შედეგის შეფასება. სწავლის შედეგი იწერება შემდეგი პრინციპის მიხედვით: პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტებს შეუძლიათ + მოქმედებითი გვარის ზმნ(ები)ა + ობიექტი და ფრაზა (რა ეცოდინებათ სტუდენტებს/უნარები/ემოციური ცვილელება).

• პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას ბლუმის განახლებული ტაქსონომია დაგეხმარებათ (იხ. დანართი 1), როგორც შეფასებადი ზმნების შერჩევაში, ასევე სწავლის შედეგის სირთულის დონის განსაზღვრაში;

• რთულია შევაფასოთ თუ რა იციან და რა ესმით სტუდენტებს, რადგან ზმნები „ცოდნა“ და „გაგება“ შეიძლება ძალიან ბევრ რამეს გულისხმობდეს, არის ორაზროვანი და ბუნდოვანი. თუმცა შესაძლებელია შევაფასოთ ის, თუ როგორ ახდენენ სტუდენტები ცოდნისა და გაგების დემონსტრირებას. შესაბამისად, „სტუდენტებმა იციან“, „სტუდენტებს ესმით“, „სტუდენტები იაზრებენ“, „სტუდენტები აფასებენ“ ფრაზების ნაცვლად უნდა დავფიქრდეთ თუ რის გაკეთებას შეძლებენ სტუდენტები ამ ცოდნითა და გაგებით, როგორ მოახდენენ ამ ცოდნისა და გაგების


7

დემონსტრირებას.

• სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და დახვეწის პროცესში სასურველია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. იმისათვის, რომ სწავლის შედეგებში ნათლად და ამომწურავად იყოს ასახული როგორც დარგის სპეციფიკა, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნები და თანამედროვე ტენდენციები; სასურველია, რომ სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში ჩართული იყოს პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, შესაბამისი დარგის დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

**კურიკულუმის ანალიზი**

მას შემდეგ რაც ჩამოვალიყალიბებთ პროგრამის სწავლის შედეგებს, უნდა დავრწმუნდეთ, რომ პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტებმა მიაღწიონ აღნიშნულ სწავლის შედეგებს. როდესაც იქმნება ახალი საგანმანათლებლო პროგრამა, ჯერ იწერება სწავლის შედეგები, ხოლო შემდეგ იქმნება პროგრამის შინაარსი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევას. არსებული პროგრამის სწავლის შედეგების განახლებისას კი, ხდება არსებული პროგრამის შინაარსის გაანალიზება და იმის დადგენა, თუ რამდენად აძლევს აღნიშნული პროგრამის შინაარსი სტუდენტებს საშუალებას მიაღწიონ სწავლის შედეგებს. ნებისმიერ შემთხვევაში აღნიშნული საკითხის გასაანალიზებლად, იქმნება კურიკულუმის რუკა. კურიკულუმის რუკა არის ცხრილი, რომლეზეც ერთ მხარეს წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო მეორე მხარეს კი - საგანმანათლებლო პროგრამის მიერ შეთავაზებული სავალდებულო სასწავლო კურსები, აქტივობები, კვლევითი კომპონენტები. იმ შემთხვევაში, თუ არჩევითი საგნების ბლოკია მოცემული საგანმანათლებლო პროგრამაში რომელიც რამდენიმე არჩევითი საგნისგან შედგება და იმისდამიუხედავად, თუ რომელ არჩევით საგან(ებ)ს აირჩევს სტუდენტი, მაინც რომელიმე ერთ ან მეტ სწავლის შედეგ(ებ)ზე გავა, მაშინ აღნიშნული არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკის ასახვაც უნდა მოხდეს კურიკულუმის რუკაზე. ამის შემდეგ, უნდა აღინიშნოს, რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს რომელი სწავლის შედეგის განვითარებას სამი პროგრესული დონით - 1. გაცნობა; 2- გაღრმავება; 3 - განმტკიცება. მნიშვნელოვანია რომ ყველა

სწავლის შედეგი განვითარდეს სამივე დონეზე. აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებში კი უნდა ჩანდეს ეს შესაბამისობა.

1 = გაცნობა; 2 = გაღრმავება; 3 = განმტკიცება/ დემონსტრირება.

| სწავლის შედეგები: / სასწავლო კურსები: | სწავლის შედეგი N1 | სწავლის შედეგი N2 | სწავლის შედეგი N3 | სწავლის შედეგი N4 | სწავლის შედეგი N5 | სწავლის შედეგი N6.. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სავალდებულო: | | | | | | |
| 1. | 1 | | | 1/2 | | 1 |
| 2. | | 1/2 | 2 | | | |
| 3. | 2 | | | | 2/3 | |
| 4. | | | 3 | 2 | | |
| 5... | 1 | 3 | | | | 2/3 |

კურიკულუმის რუკის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა მოხდეს მისი ანალიზი და იმის დადგენა, უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმი პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას სტუდენტებში. რუკაზე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია სასწავლო კურსების ეს რაოდენობა; ზედმეტად ბევრი სასწავლო კურსი ხომ არ ავითარებს ერთსა და იმავე სწავლის შედეგს ან პირიქით, იმდენად მცირე რაოდენობის სასწავლო კურსებით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განვითარება, რომ საგანთა ეს რაოდენობა შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი ამ სწავლის შედეგის მისაღწევად; ხომ არ გვაქვს ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი პროგრამაში (მაგალითად სასწავლო კურსი „დ“), რომელიც პროგრამის არც ერთ სწავლის შედეგს არ ავითარებს; ხომ არ არის პროგრამაში ისეთი სწავლის შედეგი, რომელსაც არც ერთი სასწავლო კურსი ან/და სხვა აქტივობა არ ავითარებს

(მაგალითად სწავლის შედეგი 2). პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე უნდა განვითარდეს. ასევე შესაძლებელია, რომ ერთი სასწავლო კურსი ახდენდეს რომელიმე სწავლის შედეგის გაცნობასა და გაღრმავებას (1/2) ან გაღრმავებასა და განმტკიცებას (2/3). კურიკულუმის რუკის შედგენასა და ანალიზში პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან ერთად ჩართული უნდა იყოს თითოეული სასწავლო კურსის ხელმძღვანელიც. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული სასწავლო კურსის წამკითხველმა იცოდეს, თუ რა როლი აქვს მის საგანს მთლიან პროგრამაში. ამასთან, როდესაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი ერთად განიხილავს პროგრამის სწავლის შედეგებს და კურიკულუმის რუკას, ხდება ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გაანალიზებაც. მაგალითად რა სწავლის შედეგებზე გვინდა რომ გავიდნენ სტუდენტები პროგრამის დასასრულს, რომელ სასწავლო კურსში რა ისწავლება და რა დონეზე, ხომ არ არის გადაფარვები სასწავლო კურსებში, ან ხომ არაა პროგრამიდან გამორჩენილი ისეთი საკითხები, რომელთა სწავლებაც მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად; რა თანმიმდევრობით ისწავლება ესა თუ ის საკითხი პროგრამაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება**

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება არის მუდმივი პროცესი, რომლის დროსაც დგინდება თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა პროგრამის სწავლის შედეგებს და როგორც შეიძლება გაუმჯობესდეს პროგრამა. პროგრამის ყველა სწავლის შედეგი უნდა შეფასდეს პროგრამის დასასრულს. შესაბამისად, მას შემდეგ რაც დავრწმუნდებით, რომ კურიკულუმი იმგვარად არის აგებული, რომ ის უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას სტუდენტების მიერ, უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში უნდა აისახოს, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში და/ან აქტივობებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება. შესაძლებელია ერთ სასწავლო კურსში პროგრამის რამდენიმე სწავლის შედეგი შევაფასოთ. ასევე, თუ სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგები ფასდება, კარგი პრაქტიკაა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს უპირატესად სამაგისტრო ნაშრომებში. საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში ხშირად იყენებენ შემაჯამებელ სასწავლო კურსს (capstone course) პროგრამის

სწავლის შედეგების შესაფასებლად. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა რიცხვი ძალიან დიდია, შეიძლება შეფასდეს სტუდენტთა ნაწილი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. მნიშვნელოვანია, რომ განხორციელებული შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე.

პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეფასდეს როგორც **პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით.**

პირდაპირი შეფასების მეთოდია ის, რომლის მეშვეობითაც მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს შესრულებული დავალების მეშვეობით. ეს შეიძლება იყოს ტესტი, გამოცდა, ესე, პორტფოლიო, პრეზენტაცია, თემის დაცვა, სიმულაცია  და სხვა. სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება ვერ ჩაითვლება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებად, რადგან სასწავლო კურსის ქულა მოიცავს და აფასებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღმა ბევრ სხვა უნარსა და ცოდნას; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.

**პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება**

| სასწავლო კომპონენტი | სწავლის შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|
| სასწავლო კომპონენტი 1 | სწავლის შედეგი 1 | სწავლის შედეგი 1 | სწავლის შედეგი 1 | სწავლის შედეგი 1 |
| სასწავლო კომპონენტი 2 | ქვიზი | | | |
| სასწავლო კომპონენტი 3 | | პროექტი | | |
| სასწავლო კომპონენტი 4 | | | | ესე |
| სასწავლო კომპონენტი | | | | ტესტი |

**არაპირდაპირი შეფასების მეთოდი** გულისხმობს სტუდენტის თვითშეფასებას; დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასებას და ა.შ. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ შეფასების ეს ფორმა არ უნდა იქნეს გაიგივებული სტუდენტის მიერ კურსის შეფასებასთან ან კურსით კმაყოფილების

კვლევის შედეგებს; პროგრამის სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასების მიზნით შეიძლება მომზადდეს კითხვარი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტები აღნიშნავენ თავიანთ მოსაზრებას, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს. იმავე კითხვარის გაგზავნა შეიძლება დამსაქმებლებთანაც;

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების დადგენის შემდეგ თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა დადგინდეს **სამიზნე ნიშნული,** რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს. მაგ., სტუდენტების 75% მიიღებს 14 დან 18 ქულამდე შეფასებას პროგრამის პირველ სწავლის შედეგში (იმ შემთხვევაში, თუ ამ სწავლის შედეგს ვაფასებთ დავალების მეშვეობით, რომლის მაქსიმალური შეფასებაა 20 ქულა);

სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრულ დავალებაში/კომპონენტში მიღწევების დასადგენად და შესაფასებლად სამიზნე ნიშნულებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ე.წ. ნორმალური განაწილება (იგივე გაუსის განაწილება), რაც ნიშნავს, რომ დამოუკიდებელი და ერთნაირად განაწილებული გარკვეული ტიპის შემთხვევითი სიდიდეების საშუალო არითმეტიკული მიისწრაფის სტანდარტული ნორმალური განაწილებისკენ, პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ სტანდარტული ნორმალური განაწილების დიაპაზონებია:

| | |
|---|---|
| 10% | „A "- ფრიადი |
| 25% | "B"- ძალიან კარგი |
| 30% | "C" -კარგი |
| 25% | "D" -დამაკმაყოფილებელი |
| 10% | "E" -საკმარისი |

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემაში (ECTS) შემუშავებულია სტუდენტთა რანჟირების სკალა, რომელიც პრინციპში ემთხვევა გაუსის ნორმალურ განაწილებას: ყველაზე მაღალქულიანი რაოდენობა საერთო რაოდენობის 10%–ს არ უნდა აღემატებოდეს, შემდეგ კი საფეხურებად 25%–30%–25%–10%. რანჟირების სკალის მიხედვით, სტუდენტთა ძირითად მასას სწავლის შედეგების მიღწევის საშუალო მაჩვენებელი უნდა ჰქონდეს, ძალიან მაღალი და დაბალი კი – სტუდენტთა შესაბამისად 10–10%–ს.

აღნიშნული დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები, მაგალითად:

- საკუთრივ სწავლის შედეგი/შედეგები;
- კრედიტების/საათების განაწილება;
- სწავლა-სწავლების მეთოდები;
- თემატიკა და მისი მოცულობა;


12

- შეფასების ფორმები და მეთოდები;
- ჯგუფში სტუდენტთა ოდენობა;
- სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და ა. შ

სამიზნე ნიშნულები განსხვავებულია პროგრამების მიხედვით.

სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკად და ინსტრუმენტად მიჩნეულია რუბრიკის გამოყენება. რუბრიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც განმავითარებელი, ისე შემაჯამებელი შეფასებისთვის.

რუბრიკა (შეფასების სქემა) არის მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებისა და მათი გამოყენების წესების ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც ფასდება სტუდენტის მოსწრება ამა თუ იმ აქტივობასა ან საგანში; მაგ.: საკითხის ცოდნა, ანალიზი, შესრულების ხარისხი და ა.შ. ანსხვავებენ შეფასების ანალიტიკურ, ჰოლისტურ, ზოგად და კონკრეტულ სქემებს/რუბრიკებს.

**ანალიტიკური რუბრიკა:** როდესაც დასდება თითოეული კრიტერიუმი ცალ-ცალკე, მაშინ საქმე გვაქვს შეფასების ანალიტიკურ სქემასთან/რუბრიკასთან.

**ჰოლისტიკური რუბრიკა:** არის შემთხვევები, როდესაც შეფასების სქემის დაყოფა ორ ან მეტ დამოუკიდებელ მახასიათებლად აუცილებელი არ არის ან უბრალოდ ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში შემფასებელი ქმნის ან იყენებს ჰოლისტური შეფასების სქემას/რუბრიკას. ჰოლისტური შეფასების სქემის გრაფებში გაერთიანებულია ყველა კრიტერიუმი და მახასიათებელი, რომელთა მიხედვითაც ლექტორს სურს სტუდენტის ნამუშევარი შეაფასოს. სტუდენტის პასუხის ხარისხი ფასდება ზოგადად და არა კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით. ჰოლისტურ რუბრიკაშია სახულია შესრულების ხარისხის ცვლილება სრულყოფილი შესრულებიდან არადამაკმაყოფილებელ შესრულებამდე.

. შეფასების სქემები ლექტორმა შეიძლება შექმნას რამდენიმე მიზნით. იმის მიხედვით, თუ რა მიზნით აწარმოებს იგი შეფასებას, არსებობს შეფასების შემდეგი სქემები:

1) ზოგადი რუბრიკა: გამოიყენება უნარ-ჩვევათა ერთობლიობის შესაფასებლად;

2) კონკრეტული რუბრიკა: გამოიყენება ერთი კონკრეტული საკითხის/დავალების შესაფასებლად;

3) ზოგად-კონკრეტული რუბრიკა: შეფასების ამ სქემის მიზანია როგორც ზოგადი უნარჩვევების, ასევე კონკრეტული საკითხის/დავალების შეფასება

ლექტორი წყვეტს შეფასების რომელი ტიპის რუბრიკა (ანალიტიკური თუ ჰოლისტური) იქნება შერჩეული და რომელი მა\თგანი იძლევა უფრო სანდო და ობიექტური შეფასების საშუალებას კონკრეტული დავალების შესაფასებლად. ამასთან, ჰოლისტური რუბრიკით სარგებლობა ლექტორისთვის უფრო ადვილია, მაგრამ ამ ტიპის რუბრიკით სარგებლობა გამსწორებლის გამოცდილებას და მის მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს. არის საფრთხე, რომ შემფასებელმა ჰოლისტური რუბრიკით შეფასებისას ყურადღება არ მიაქციოს სტუდენტის შედეგებს რომელიმე კატეგორიაში და სტუდენტი მხოლოდ ნაწილი მახასიათებლებით შეაფასოს, რაც გამოიწვევს შეფასების არაობიექტურობას. როდესაც შეფასების რუბრიკა ჩაშლილია ცაკლეულ კრიტერიუმებად (ანალიტიკური რუბრიკა) და თითოეული კრიტერიუმი ცალ-ცალკე ფასდება, ამ

საშიშროებისგან დაზღვეულები ვართ. შეფასების ახალი სქემის შედგენისას პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- განსაზღვროს შეფასების სქემის მიზანი;
- შეადგინოს შეფასების ძირითადი კრიტერიუმები;
- შეადგინოს მაქსიმალური და მინიმალური ქულების მახასიათებლები;
- განსაზღვროს დონეების რაოდენობა; დონეები ერთმანეთისაგან ხარისხობრივად უნდა განსხვავდებოდეს; დონეების მახასიათებლები უნდა იყოს კონკრეტული.
- კოლეგებთან ერთად გააკეთოს შეფასების სქემის პილოტირება; ე.ი., ისინი ერთდროულად, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, აფასებენ ერთსა და იმავე აქტივობას შეფასების სქემის მიხედვით და ერთმანეთს ადარებენ მიღებულ შედეგებს. განსხვავებული შედეგების მიღების შემთხვევაში, პედაგოგები ურთიერთთანამშრომლობით ხვეწენ შეფასების სქემებს. შეფასება ხდება საგანმანათლებლო პროგრამით წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით, შეფასების ინდიკატორები კი ფასდება შეფასების 3/5 დონის გამოყენებით, თუმცა შეფასების დონეებთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მიდგომა, მაგ.4 ან 5 დონე და სხვა.

**სწავლის შედეგების შეფასება:**

| სწავლის შედეგები | სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები | | | | სამიზნე ნიშნული (პირობით) |
|---|---|---|---|---|---|
| | პირდაპირი | | არაპირდაპირი | | |
| | მეთოდი | დრო | მეთოდი | დრო | |


14

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სწავლის შედეგი 1** | მაგალითად: კრებსითი გამოცდა(ღია კითხვები, თეორიული საკითხი; დახურული ტესტები; პრეზენტაცია ) პრაქტიკა<br><br>საბაკალავრო ნაშრომი | III,<br>V,<br>VII,<br>VIII | • სტუდენტთა გამოკითხვა;<br>• კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;<br>• აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვა;<br>• პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოკითხვა;<br>• დასმაქმებლის გამოკითხვა;<br>პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება ლექცია/სემინარებზე (ოქმი) | VI,VII<br>I | A) – 10%<br>(B) – 25%<br>(C) – 30%<br>(D) – 25%<br>(E) –10% |
| **სწავლის შედეგი 2** | | | | | |
| **სწავლის შედეგი 3** | | | | | |
| **სწავლის შედეგი 4** | | | | | |
| **სწავლის შედეგი 5** | | | | | |

**შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად**


15

. შედეგების ანალიზი:

1) პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მნიშვნელოვანი მეოთხე ეტაპია მიღებული შედეგების გაანალიზება, ანალიზის შედეგად კი პროგრამის გაუმჯობესება, რადგან სწავლის შედეგების შეფასების პირველადი დანიშნულება პროგრამის
2) რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა სწავლის შედეგებს იმ დონით, როგორც ვვარაუდობდით.
3) ასევე ხდება განსაზღვრა, ხომ არ არის ერთი ან მეტი სწავლის შედეგი, რომლებსაც სტუდენტების უმრავლესობა სუსტად ან საერთოდ ვერაღწევს. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება კურიკულუმის რუკასთან მიბრუნება და იმ სასწავლო კურსების გადახედვა, რომლებიც ავითარებენ აღნიშნულ სწავლის შედეგ(ებ)ს.
4) 4შეფასების შედეგად შეიძლება განხორციელდეს:
   - ცვლილებები სასწავლო კურს(ებ)ის შინაარსში;
   - ცვლილება კურსის წინაპირობებში;
   - ცვლილება სასწავლო კურსების თანმიმდევრობაში;
   - სასწავლო კურს(ებ)ი, დამატება ან ამოღება პროგრამიდან;
   - ცვლილებები სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისებში;
   - ცვლილებები თავად პროგრამის სწავლის შედეგებში;
   - ცვლილებები შეფასების მექანიზმებში და ა.შ.

5) მეოთხე ეტაპზე განხორციელებული ანალიზი და ანალიზის შედეგად მიღებული ცვლილებები აისახება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში.

6) მნიშვნელოვანია სტუდენტებთან უკუკავშირი, თუ როგორ მიაღწიეს მათ პროგრამის სწავლის შედეგებს, რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ მათ.

**სწავლის შედეგების გადახედვა და მონიტორინგი**

1. ბაკალავრიატის საფეხურზე:
2. 3 წლიან დინამიკაზე დაკვირვება;
3. მაგისტრატურის საფეხურზე: 3 წლიან დინამიკაზე დაკვირვება;
4. ზემოაღნიშნული პერიოდებისთვის მოხდება მონიტორინგის შედეგების დადარება სამიზნე ნიშნულებთან და აიგება თვალსაჩინოებისთვის დიაგრამა: სწავლის შედეგის მიღწევის პროგრესის/რეგრესის იდენტიფიცირებისა და შემდგომი რეაგირების მიზნით.

**დანართი 1: ბლუმის განახლებული ტაქსონომია**

ბლუმის განახლებული ტაქსონომიის მიხედვით შემეცნება დაყოფილია ექვს პროგრესულ დონედ. ესენია: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, შეფასება, შექმნა. თითოეულ დონის აღწერა და შესაბამისი ზმნები მოცემულია ქვემოთ. იქიდან გამომდინარე, რომ სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანია სწავლის შედეგის სირთულის განსაზღვრა და შემდეგ ამ სირთულის შესაბამისი და ამასთან შეფასებადი ზმნის გამოყენება, სწავლის შედეგის ფორმულირებისას, ბლუმის განახლებული ტაქსონომიის გამოყენება ამარტივებს ამ პროცესს. იქიდან გამომდინარე, რომ ეს უკანასკნელი გვაძლევს ცოდნის სირთულის სტრუქტურასა და შესაბამის ზმნებს, ის ფართოდ გამოიყენება ბევრ ქვეყანასა და უნივერსიტეტში. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა მოიცავდეს ყველაზე რთულ დონეს, რომელზეც გადის სტუდენტი პროგრამის დასასრულს. მაგალითად, როდესაც სტუდენტს შეუძლია რამის გაკეთება მესამე, გამოყენების დონეზე, ეს ნიშნავს იმას, რომ ცოდნისა და გაგების დონესაც ფლობს სტუდენტი. ამიტომ არ არის საჭირო სწავლის შედეგების გაწერა ყველა დონეზე. ეს თავიდან აგვარიდებს სწავლის შედეგების ზედმეტად დეტალურ გაწერას და აგრეთვე დაგვეხმარება სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირებაში. როგორც წესი პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისაც გამოიყენება ზნმები ტაქსონომიის მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე დონეებიდან.

**1. ცოდნა** - ფაქტებისა და ძირითადი კონცეფციების ამოცნობა და გახსენება. საკვანძო ზმნები: განსაზღვრა, ჩამოთვლა, ამორჩევა, მოძიება, დასახელება, გახსენება, დაკავშირება, ჩვენება, გამოსახვა, ამორჩევა, თქმა, მონიშვნა, პოვნა, იდენტიფიცირება, ცნობა, დასახელება, და სხვა.

**2. გაგება** - იდეებისა და კონცეფციების ახსნა. ამა თუ იმ თეორიის, საკითხის, მოვლენის ახსნა, შეჯამება, კლასიფიცირება. ერთი და იგივე ინფორმაციის სხვადასხვანაირად გამოთქმა და/ან მაგალითის მოყვანა. ნასწავლი ინფორმაციის გააზრება და ინტერპრეტაცია. საკვანძო ზმნები: აღწერა, განხილვა, კლასიფიცირება, შედარება, შეპირისპირება, კონტრასტი, ახსნა, ილუსტრირება, ამორჩევა, თარგმნა, ინტერპრეტირება, მიმოხილვა, გამოკვეთა, დაკავშირება, პერიფრაზირება, შეჯამება, განმარტება, შეცვლა, მითითება და სხვა.

**3. გამოყენება** - ინფორმაციის/ნასწავლი მასალის გამოყენება ახალ სიტუაციაში. იდეებისა და კონცეფციების გამოყენება პრობლემის გადასაწყვეტად. შექმნა შეფასება ანალიზი გამოყენება გაგება ცოდნა პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება 19 საკვანძო ზმნები: გამოყენება, დანერგვა, ექსპერიმენტირება, მოდელირება, ორგანიზება, ამორჩევა, დემონსტრირება, გადაჭრა, გაანგარიშება, შეცვლა, გამოთვლა, ილუსტრირება, მოდიფიცირება, ოპერირება, პრაქტიკაში გამოყენება, პროგნოზირება, წარმოება და სხვა.

**4. ანალიზი** - იდეებს შორის კავშირის დანახვა. განსხვავებული ცნებების მახასიათებლების, პროცესებისა ან მოვლენების შედარება აზრის გამოთქმისა და მსჯელობის გარეშე. ინფორმაციის შემადგენელ კომპონენტებად დაშლა მათ შორის ურთიერთკავშირისა და სტრუქტურის გაგების მიზნით. საკვნძო ზმნები: განსხვავება, ორგანიზება, კონტრასტი, შედარება, ანალიზი, კლასიფიცირება, აღმოჩენა, გამოყოფა, გამოპირობება, გაყოფა, შემოწმება, ინსპექტირება, შემოწმება, გამარტივება, რანჟირება, კლასიფიცირება, დანაწილება, შეპირისპირება, დიფერენცირება, გამორჩევა, დაყოფა, დაკავშირება, განცალკევება, კატეგორიზაცია და სხვა.

**5. შეფასება** - გადაწყვეტილებისა და/ან პოზიციის დასაბუთება/გამართლება. ცნებების, პროცესების, იდეების სირთულეებისა და შეზღუდვების განხილვა. აზრის/მოსაზრების ჩამოყალიბება რაიმე მოვლენისა თუ იდეეს გარშემო და მისი გაკრიტიება ან მხარდაჭერა. საკვნძო ზმნები: არგუმენტირებული მსჯელობა, შექება, განსაზღვრა, შეჯამება/შეჯერება, შეთანადება, გადაწყვეტა, დაცვა, უარყოფა, მხარდაჭერა, გაკრიტიკება, შეფასება, აღრიცხვა, დასკვნის გაკეთება, დარწმუნება, რეკომენდაციების მომზადება, ვალიდაცია, გაზომვა, უპირატესობის მინიჭება და სხვა.

**6. შექმნა** - ახალი ან ორიგინალური ნაშრომის შექმნა. ნასწავლი ცნებებისგან განსხვავებული ახალი ცნების შექმნა, ან ნასწავლი ცნების გამოყენება რაღაც ახლის შესაქმნელად. საკვანძო ზმნები: აგება, აწყობა, დიზაინი, განვითარება, ფორმულირება, გამოძიება, ავტორობა, ცვლილება, შედგენა, კონსტრუირება, შექმნა, გამოგონება, მაქსიმიზირება, მინიმიზირება, მოდიფიცირება, დაგეგმვა, დაწყება, ვარაუდი, გადაჭრა, ტესტირება და სხვა. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება

19

20

21

22